



# ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვდუდუნებ  
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 33

მირიანო, 2015

## მაინც ამ პირზე საქართველოში არ ხმება ფესვი მოღალატური!.. გიორგი სააკაძე — 435



435 წლის წინ (1580) დაიბადა საქართველოს ეროვნული გმირი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მისთვის თავდადებული, დიდი მოურავი — გიორგი სიაუშის ძე სააკაძე (1580-1629 წწ.).

ქვაც არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია.

გ. სააკაძე

1580 წელს, მდინარე ატენის ზემო წელზე მდებარე სოფელ ფელში, დაიბადა გიორგი სააკაძე. მისი დაბადების შემდგომ, სიაუშ სააკაძის ოჯახი სოფელ ნოსტეში ჩამოსახლდა.

სიაუშ სააკაძეს და მის მეუღლეს, თამარს, ბარათაშვილის ქალს, სამი ვაჟი და ერთი ასული ჰყავდათ, თუმცა ისტორიამ მხოლოდ ორის — გიორგისა და ქაიხოსროს სახელები შემოგვინახა.

გიორგის დიდი წინაპარი — ჯანზურაბ სააკაძე, ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს, XIII საუკუნის მიწურულს იხსენიება. შემდგომ — დონა სააკაძე, რომელიც ერთიანი საქართველოს 21-ე მეფის — ბაგრატ V-ის თანამებრძოლი იყო, ტფილისის დაცემის ჟამს, მეფესთან ერთად თემურ-ლენგმა დაატყვევა და 1386 წლის 21 ნოემბერს ყარაბაღში გადაიყვანა... მერე — გიორგი სააკაძე, იხსენიება 1547 წელს და რომელსაც ოთხი ვაჟი ჰყოლია: ფეშთელ, სიაუშ, ზურაბ და ივანე. ამათგან სწორედ სიაუშს არგუნა ბედისწერამ მამობა ყველაზე დიდი სააკაძისა.

ეროვნულ გმირს, ჯიმ-ჯილაგიან გიორგი სააკაძეს, რომელსაც გულზე მხოლოდ საქართველოს გაერთიანება ეწერა, „ტახტისმადიებელ უჯიშო მედროვედ“ თვლიდნენ თავად უჯიშონი და ერის მოღალატენი — შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი...

პირველი საბრძოლო ნათლობა გიორგიმ თემის ხეობაში, სხერტის ქალაქზე და შემდეგ ტაშისკართან მიიღო. ეს იყო საოცარი გმირობა, როცა 10 000-იანი ლაშქ-

რით პირწმინდად გაანადგურა თურქთა 60 000-იანი ურდო (1609 წ. 27 ივნისი).

... 1625 წ. 25 მარტს სააკაძემ მარტყოფის ველზე სპარსთა 30 000-იანი ლაშქარი გაანადგურა, რასაც მისი უმცროსი შვილის — პაატას სიკვდილი მოჰყვა: განრისხებულმა სპარსეთის „ლომმა“ შაჰ-აბასმა მას თავი მოჰკვეთა და მამას გამოუგზავნა... პაატას სახელი ეროვნული გმირობისა და მამულიშვილობის ნიშანს ეტად იქცა.

... მერე იყო საბედისწერო მარაბდა (1625 წ. 1 ივლისი). 50 000 ყიზილბაშთა ურდოს დაუპირისპირდა 20 000 ქართველი... საარაკო გმირობა გამოავლინეს ქართველებმა და როცა ეგონათ, რომ ბრძოლა მოიგეს, სწორედ, მაშინ შემოტრიალდა ჩარხი ბედისწერისა... მარაბდის ველზე ესვენა 23 000 მკვდარი: 14 000 სპარსელი და 9000 ქართველი. მარაბდის ველზე აღებულმა გამარჯვებამ მაინც არ არგუნა გამარჯვება მტერს, რადგან გ. სააკაძემ სპარსელებს კოჯორ-ტაბახმელას ტყეებსა და ხევხუვებში გაუმართა ბრძოლები: შემდეგ ქსანზე ჟლიტა მტერი სააკაძემ.

1626 წ. ზაფხულის დამლევს გიორგიმ მესხთა თანადგომით ზედიზედ აიღო ხერთვისი, აწყური, ფარავანი, ახალციხე, საფარა და ასპინძა. ბოლოს გაანთავისუფლა გორის, ბირთვისისა და ლორეს ციხეები. ქართლის განთავისუფლების შემდეგ გ. სააკაძემ დალაშქრა შამხალი და დაღესტანი.

... მაგრამ კარს მომდგარიყო საქართველოს ისტორიის სამგლოვიარო სამანიბაზალეთი!... მოღალატეებმა თეიმურაზ მეფე აუმხედრეს სააკაძეს... ბაზალეთის ძმამთაყვესილი ომის შემდეგ ოსმალეთში გადახვენილი გიორგი სააკაძე 1628 წელს ახერხებს არზრუმიდან სამცხეში შემოჭრას და ციხე-ქალაქების სპარსთაგან გათავისუფლებას... მაგრამ ჩანდა, ყველაფერი დასრულებულიყო — ბაზალეთის მინაში დამინებულიყო გ. სააკაძის დიადი მამულიშვილური განაზრახი საქართველოს გაერთიანებისა!..

... სრულიად ახალგაზრდა — 49 წლისა ოსმალეთში ტრაგიკულად აღესრულა (1629 წ. 3 ოქტომბერი).

ისტორიკოსი და მწერალი ლევან სანიკიძე თავის ისტორიულ თხზულებაში აღნიშნავდა: ვინ მოთვლის, რამდენ აშკარა თუ შენიღბულ მოღალატეს ერგო პატივად მისგანვე ნაღალატე მშობლიურ მინაში განსვენება, ხოლო სააკაძის ტანჯულსა და გვემულ სხეულს მის სალოცავ ქართულ მინაში დამინებაც კი არ ეღირსა.

არც ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილი ღირსება საომარი ხელოვნების სწორუპოვარ გმირს.

დიდსულოვანმა ქართველმა ხალხმა თან გააყოლა „დიდის“ ტიტული — დიდი მოურავი, ვითარცა დიდი ვახტანგ, დიდი დავით, დიდი თამარ, დიდი სვიმონ...

მისი ბოლოქარი სახე საქართველოსა და წინა აზიის სისხლიანი ისტორიის ჩარჩოში გამორჩეული სახიერებით გამოიკვეთა და გაქვავდა...

## ერის მოღალატეები

I  
ისევ დავხვდებით ალესილ ნიჩბებს, შევეგებებით სიკვდილს კვლავ ლოცვით, მაგრამ რა ვუყოთ ამ იანიჩრებს, ღალატს საკუთარ სისხლის და ხორცის. ისევ ჩვენზე სისხლს შევაფურთხებთ ყველა მკვლელს, ყაჩაღს და მოძალადეს, მაგრამ, რა ვუყოთ ამ ჩვენს მანქურთებს, იმედისა და რწმენის ჯალათებს. იმ სი-ეს-ივით ისევ სისინებს მათი სული და კარგად იციან, წყალი, რომელსაც სვამენ ისინი წყალი კი არა, ხალხის სისხლია. ხალხის ძვლებისგან გამოთლილია ის ჩინ-მედლები და სავარძლები. საქართველოში სანამ ივლიან, კენის ცოდვით სანამ გაძლებენ, საქართველოში სანამ ივლიან, დაბანგულები ბოლმის ისრით, სამშობლოს ცრემლით მოზეილილი პური, რომელსაც ჭამენ ისინი. მტერი, ისედაც ვიცით მტერია, მაგრამ ათასჯერ არის წყეული, მტერზე ათასჯერ საშინელია კაცი, სამშობლოს სისხლს მიჩვეული.

II  
ისმის ცოხლების ხმათა ღალადი და საფლავიდან ამოძახილი: ეს სულ ერთია, სად უღალატე, როდის ჩაეცი მამულს მახვილი. კრწანისის ველზე მტერს შეატოვე, თუ წინამართან ტყვია ესროლე, მინა გაყიდე თუ ის გვარ-ტომი, დღეს რომ აკლია მამულს ესოდენ. მტერს შეეგებე კოცნა-აღერსით, თუ ფიანდაზად შენს გულს უგებდი, ჯალათს აწვდიდი ნიჩაბს ალესილს, თუ ნარიყალას კარებს უღებდი. ეს სულ ერთია, სულით კენის, ვინც იმუხთლე და იმუხანათე, ვინც უღალატე, ვინც დღეს ღალატობ, ან საქართველოს ხვალ უღალატებ. ეს სულ ერთია, შენ რა გერქმევა, სერგო, ფილიპე თუ შადიმანი, მეფე იქნები თუ ათაბაგი, პრეზიდენტი თუ ცეკას მდივანი. ეს სულ ერთია, შენ ხარ ცოცხალი, თუ წლებმა უკვე მიწად გაქცია, არც საფლავი გაქვს, არც სალოცავი, რადგან სამშობლო არ გაგაჩნია.

ნოდარ ჯალალონია

## ჩვენის საუნჯე



ვანის (ვაჰანის) ქვაბები. გუმბათიანი ეკლესია, XV საუკუნე. ამ კლდის ნაოჭში ჩიტის ბუდესავით საკვირველად ნაშენი ტაძრის კედლები XV-XVI სს. მელნით შესრულებულ მრავალ ნახატსა და მხედრულ წარწერას ინახავს, მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს.



2 42°-ზე მდებარეობს (!). ასე რომ კავკასია, კუნძული კორსიკა, ბასკების ქვეყანა, კანა-

დღესათვის მეცნიერებმა ზუსტად არ იციან თუ აინები საიდან მოვიდნენ აქ. ჩვენ კი ვიტყვი, რომ მათი გზა ჩრდილო განედს მიჰყვება 42°-ზე, მხოლოდ ეს საიდან, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის მიმართულებით, ჯერ არ არის ცნობილი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში რუსმა აკადემიკოსმა შრენკმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აინები ცხოვრობდნენ მატერიკზე,

მაგრამ შემდეგ განიცადეს შევინრობა მონ-ლოლიდური მრავალრიცხოვანი რასები-საგან და მოხდა მათი მიგრაცია კორეისა და კუნძულ ცუსიმას გავლით ხონსიუზე, შემდეგ კი გადავიდნენ კუნძულ ხოკაიდოზეც (ალბათ ხონკაიდოზე).

დანამდვილებით არავინ იცის, თუ საიდან მოვიდნენ აინები, მხოლოდ ერთი კი ცხადია, როდესაც იაპონელები კუნძულ ხონსიუზე გადასახლდნენ, იქ უკვე აინები დიდი ხნის დასახლებულები იყვნენ. ამაზე მეტყველებენ ძველი იაპონური თქმულებებიც.

აინების ენა რთულია და საიდუმლოებით მოცული. მას ბასკურ ენას ამსგავსებენ (!). აინები სოფლებში, თავიანთი სახლების აღმოსავლეთ მხარეს ათავსებენ ტირიფის ტოტს, რომელიც ისეა გათლილი, რომ ბურბუშქელას გროვას მოგვაგონებს. იგი

ქართული საახალწლო ჩიჩილაკის მსგავსია. ასეთი ტირიფის ტოტის წინ აინები ლოცულობენ.

სიტყვა „აინი“ ძალზე წაგავს სიტყვა „აიას“. „აია“ ხომ კოლხეთის სახელწოდებაა მეფე აიეტის მეფობის პერიოდში. „აია“-თი ბოლოვდება მეგრული გვარები, რაც მზის ღვთაებასთან არიან დაკავშირებული.

\* \* \*

აღდგომის კუნძულის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის ნორვეგიელი მკვლევარი და მოგზაური ტურ ჰეიერდალი. მან ამ კუნძულზე 1955 წელს მოაწყო ფუნდამენტალური ექსპედიცია დაქირავებული გემითა და 25 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟით. ჰეიერდალმა რამოდენიმე თვე დაჰყო აღდგომის კუნძულზე. ტურ ჰეიერდალის ექსპედიციამ, გარდა

დაქირავებული რამდენიმე მეზღვაურისა, მონვეულნი იყვნენ: ეთნოგრაფები, ანთროპოლოგები, ჰემატოლოგები, არქეოლოგები, ორინენტალისტები და სხვა სპეციალისტები. ამ ექსპედიციასთან დაკავშირებით ტურ ჰეიერდალმა დაწერა წიგნი, საკითხავად მეტად მიმზიდველი, „აკუ-აკუ“, რომელიც მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე ითარგმნა და მათ შორის ქართულადაც.

აგტორი აღნიშნულ წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერს ექსპედიციის საქმიანობას აღდგომის კუნძულზე და ცდილობს, რომ ყოველი მის მიერ წამოყენებული ჰოპოთეზა თუ ვერსია თეორიად აქციოს. თუ როგორ ახერხებს ამას, ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

(გაგრძელება იქნება)

დანიელ ფიფია

მებრულ-ქართული სალექსიკონო მასალები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №№ 18, 19, 22, 23, 27, 29, 32).

- ტაბაკი — მაგადა
ტაბაჩა — 1. მეტიარა; 2. დამბაჩა
ტალიკე — შიშველი
ტარკალე — შიშველი
ტაროზუბადო — ცუდი ამინდი
ტატალი —
ტატი — პაპის დედა
ტაცალე — იხ. ტარკალე
ტახანა —
ტერტე — ქრელი
ტეფია —
ტვიტვილი — გაბრდღვნილი
ტვიტვაფი — გლეჯა
ტვიფალი — ფართე
ტიბუ — ცხელ-ცხელი ფაფა (ხუმრობით მეგრული ჩაი)
ტგბ — თბილი
ტიოხი — ტრიალი (მინდორი)
ტირკალი — უზრდელი
ტირუ-ტარუ — მითქმა-მოთქმა
ტკვა — კიბე
ტიკბირი — საცერი
ტიკილი — კლდე
ტიკუმორუა — მტვრევა
ტიკუტკარი — ურიცხვი
ტიკუტკუბრო (ტიკუტკუბურო) — მიტყუებუ-ული ფეხებით ადგილიდან გადახტომა
ტონბა — ტბა
ტორონჯი — მტრედი
ტრაბეზი — ძელი, დვირე
ტრუპანტი — სახვრეტი, ციბრუტი
ტურფა — შეგზნება ცეცხლის
ტუმინუა — მონოტონურად ლაპარაკი
ტუნკი — კომბალი
ტურინუა — 1. ტრიალი, 2. გადახტომა
ტურტურუე — ტოროლა
ტუტა — ნაცარი
ტუტილი — გაბრდღვნილი
ტუტულა —
ტყაბარუა — გატყავება
ტყამი მათა — ტყის დედოფალი, ალი
ტყები — ტყავი
ტყვაპალა — ლაყე
ტყვინტყვალი —
ტყურაია — უბრალო, სადა
ტგ — ცური
ტგბინი — წყალობა

- ურცხი — უჩვევი, უცხო
ურძლაფელა — უძლები, ხარბი
უსქე — ბერნი, უშვილო
უსქემელა — უშნო
უფურაში — უფრო ცხელი; უარესი
ულელე-მელელე — ვიგინდარა
ულუ — 1. უღელი; 2. აქვს
ულურალი — უკვდავი
უყვარყარე — უბედური
უშქური — ვაშლი
ურჩა — შავი
ურჩამელა — არაპურადი
უნჩაში — უფროსი
უნუ — უთხრა
უნუნდური — ბინძური
უხენო — ორსული
უხეცობა — უზმოობა
უჯგუში — უკეთესი

- ფალო — მარტო, ამარა
ფალუა — გაფურქქენა
ფანია — ოჯახი
ფარა — ფული
ფარანი — დრო, ხანა
ფარკალი — ბორძიკი
ფარჩხუა — ჩხრეკა
ფარყი —
ფატალა —
ფამბიტი — კვიცი
ფამი — ძროხის შიგნეული
ფაშუტია —
ფაჩული —
ფაციერი — იხ. გეჩა
ფაცხა — წველით მოწნული ქოხი
ფაცხუა — წვნა
ფაჭაჭი — ქოჩორი
ფაჭაფა — დახამხამება
ფეტუა — გაჩენვა
ფელუა — გასხვლა
ფელური — სეირნობა
ფენდა — ხვაგი
ფენჯგერე —
ფერკაფი — დაკვამლვა
ფერო — რუხი
ფერცხელი — ბნედა, კოტრიალი
ფერწო — ლოკოინა
ფეე —
ფეშერი — ფურეჩი
ფეცხი — წველი
ფეხთი — ფრთხილი
ფია — ცუდი
ფიარი (ლათინი) — ნიჩაბი
ფიაფია — ნაგლეჯ-ნაგლეჯად
ფითქი — ფაფა
ფილფარჩათ — ბლომად
ფინახარი — ბაგა
ფინია — წვრილი (საინი)
ფიოჩი — აზატი, თავისუფალი გლეხი
ფირთხი — ბიბილო
ფირტვალი — მონყენილი
ფირტვე — წვრილი თევზი
ფილვაია — (ავადმყოფობა) ყბაყურა
ფიყვი გილართელი — მონყენილი
ფიჩალი — ფართე, ღია
ფიჩალი — ფართე;
ფიჭვი — ნაშამი
ფოქვი — იხ. ჩიბა
ფოთქვი —
ფოკვა — ობი
ფოკვინაფილი — დაობებული
ფოლო — ფლოქვი
ფორონჯი — მტრედისფერი
ფორტვა — ფულური
ფორუა — დაფარვა
ფორჩა — ტილო
ფოტა — ზენარი
ფოსხალი — კოკა
ფსელა — შარდი
ფსუა — ფრთა
ფსუმა — შარდზე გასვლა
ფუთქურელი — დახავებული
ფუთქური — ხავსი

- ფულირი — დამალული
ფულუა — დამალვა
ფუნა — დულილი, ძროხის პატვი
ფუნაფა — ადუღება
ფუნელი (ფუნაფილი) — ადუღებული
ფურინი — ფრენა
ფური — ცუდი
ფურკი — კვამლი
ფურტინი — ფურთხი, გადაფურთხება
ფურცქინი — ჩურჩული
ფურჩა — ბზე
ფურცელი — ფოთოლი
ფუტი — ელვა
ფუჩი — ფიცი
ფუჩინელი — ნაფიცი
ფუჩხა — ნამცეცი
ფუჯი — ფური

- ქაბულა — უშობელი
ქამენია — გვირილა
ქანცაფი — ნძრევა, დარხევა
ქართი — თბილისი
ქართუა — შეკვრა, მიბმა ერთმანეთთან
ქართანი — იხ. გარგატი
ქარქენჯი —
ქაქალა — ცეტი
ქაცარი — თიკანი
ქაცლაშია — ტიკჭორა
ქაცუ — წვრილი ძვალი
ქელონუა — მიქნარება
ქერქეთი — სიცხე
ქესატი — ღარიბი
ქექე — მსუბუქი
ქეშაფი — ოხვრა
ქვანთილა — ცხვრის დუმა
ქვანთიშა — ქალაჩუნა
ქვანთუ — ბლომად სითხე
ქვარანთელე — მუცელი
ქვარა — მუცელი
ქვათალა — ქალაჩუნა
ქვერსემი — დიდი, ჩაქცეული
ქვერე (ქვიჩალი) — ქოჩორა
ქვეცერე (ქვიცალი) — დაბალი
ქვინუა — დამალვა
ქვინჯე — როდინი
ქვინჯი — ფსკერი
ქვირა —
ქვიშარი — წყვილი
ქვიშორი — ქვიშისფერი
ქილუა — თქმა
ქიშინუა — კეთება
ქიონი — ტრიალი
ქირანჯი — მოჯამაგირე
ქირსე — ქრისტილობა
ქირსეთუთა — დეკემბერი
ქირქე (ქარქამი) — იხ. ნკვარამი
ქირცა — ქერტილი
ქილგ — ბაცილა
ქიქი — იქნება
ქიცუცია — თხა
ქობალი — პური
ქოთი — კიდეც
ქოლო — წყარო
ქომოლი — გამბედავი, ვაჟკაცი
ქომონჯი — ქმარი
ქორე — არის
ქორთუ — ქართველი
ქოსთუ — გვა
ქოფე —
ქომინაფილი — ლპობისპირად მყოფი
ქუთუმი — ქუთუმი
ქუთოლაფა — ფაქუცი
ქულა — კოჭლი
ქულამური — გრდემლი, ქურა
ქუშე — სელის ფქვილი
ქუფე —
ქუქე — ჯიბლიბო
ქუჩონა — ბურჭნარი
ქუცი — ქაცვიანი ბურჭი
ქუციონი — შამბნარი
ქუცურუა — პატარა

- ლალუა — დაფეთება, შეშინება
ლამასქუა — ანგარი
ლანდა — ღობე
ლანდალა — ბალიწვი
ლანკი — იხ. ყაბახი
ლანძგი — მახრა
ლანჯა — ყანგი
ლარჯილი — ღონე, ძალა
ლართი — ჩოხა
ლაფილი — შეღებილი
ლაფუა — შეღებვა
ლაჭაჭია — კიბორჩხალა
ლაჭუა — გაკრეჭვა
ლებარი — იხ. ნახკაცა, ნწყვარი
ლერზელება — გალიზიანება
ლეტმა —
ლეჯი — ღორი
ლევა — ლოყა, ღანვი
ღვანწკი — 1. ლოყა; 2. ყბა
ღვარაფი — ღრილი
ღვარღვალი — ფრქვევა, გილის კავი
ღვარღვინი — რევა
ღვაჭა —
ღვენდუა — გამოლტვა
ღვენქე (ღვენქია) — გამხდარი
ღვენქი — ჭია
ღვერდუ — გაქნილი
ღვინჯა — მნიფე
ღვითალი — შექმუხვნილი
ღვირალი —
ღვიღვინაფილი — დამბალი
ღიაბი — გრძობა
ღილოყინი —
ღიმისქობა — ანგარება
ღიულაუ — რიჟრაჟი
ღიფა — დიდი ცეცხლი
ღიჭინი — სახის დამანჭვა
ღმალა — ქონება
ღმალიერი — ქონებიანი, მდიდარი
ღობილი — წნული
ღობუა — წვნა
ღოლაბა — ქნა
ღოლი — ფულური
ღორთაფი, ღორთაფი — იხ. ღვარაფი
ღორონთი — ღმერთი
ღორღონჯი — ბატი
ღულა — მრუდე
ღულაზუა — მიდრეკა
ღულერი — მოაჯირი
ღუმა (ღუმენჯი) — გასული ღამე, წუხელ
ღუნა — ქონება
ღუნცოლირი — მიდრეკილი
სირცხვილისაგან


- ღურა — სიკვდილი
ღურელი — მიცვალებული
ღურზუბე — იხ. ყრუ
ღურუ — სიკვდილის ანგელოზი
ღორღი — შამბნარი
ღგრზე — ღერძი

- ყაბული-თანხმობა
ყამა-ხანჯალი
ყაყალი-ყიყინი(ბაყაყის)
ყვანდგინი-იხ.ჩივილი, ყვედრება
ყვაპუ-ღორის ავადმყოფობა
ყვარილი-ყვერული
ყვარყვანი-წურწური
ყვაყვილი-დასველებული
ყვიაფი-ქნავილი
ყვინგალი-
ყვინთელი-ყვითელი
ყვინთილი-მოყვითლურად
ყვისქილი-ქეკვიშავალი
ყინტუა-ყლაპა
ყირზინი-დაჩემებით მზერა
ყიყალი-
ყიყინაფილი-დამბალი
ყიყინი-ყიყინით ლაპარაკი
ყორყელი-ხახა
ყურწკი-ნემსის ყუნწი
(გაგრძელება იქნება)



სსოპნის ნათელი

„... ოხრად შთენილი მამული შენ დაიფარე ღმერთო!“



წელიწადი შესრულდა სახელოვანი ერისკაცის, შესანიშნავი პოეტის, ჟურნალისტიკისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი კოლხის — რინოს თეოფანეს ძე კვარაცხელიას გარდაცვალებიდან...

რინოს კვარაცხელიამ თავისი ბრწყინვალე პოეტური შედეგებით, მაღალადამიანური ღირებულებებით დაამშვენა მშობლიური რაიონი, სამეგრელო და სრულიად საქართველო!..

ჩვენ, მისი პოეზიის თაყვანისმცემლები, კიდევ ერთხელ ვიხრით ქედს ბატონი რინოსის ნათელი ხსოვნის წინაშე. უფალმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს დიდი მამულიშვილის ბობოქარ და მშფოთვარე სულს!..

„ნოვტისურის“ მკითხველებს ვთავაზობთ რინოს კვარაცხელიას ლექსებს წიგნიდან „წრებრუნვა“.

გულმტკივნეული გულს უძღვნის მამულს, ვით წმინდა ემბაზს, — რჩეულ მესიტყვევდ არ მოშლოდე ქვეყანას, რევაზ!

ლონგორ შანავას ხსოვნას

როცა ჩვენი მამული გოდებს ლონემიხდლი, როცა ბევრს დაკარგავთ თავად გრძნობა სირცხვილის, როცა თავზე გვეყრება უგვანოთა ქირქილი. როცა ტირის ქვეყანა და სატანა იცინის, — მონად ყოფნას ბევრად სჯობს ზვიადისტად სიკვდილი, კაცურ-კაცად სიკვდილი!

უმრწემესი მოთასადმი

ამოდი, ბიჭო, კარგი დარია, ნახე ბაბუა ლანდადქცეული, — ავადმყოფობამ ხელი დარია, მოასწარ, ვიდრე არ ნაქცეულია... მოუვლელია ვენახი, ყანა, ვერ შევუცვალე ვენახს სარები, — ასე სიციხიანს არ მერჩის ძალა, არც ვიცო, საით ნავეგმზავრები. ამოდი, ბიჭო, შენს გახარებას, მე ხომ სიხანტეს არ ვარ ნაჩვევი. უშენოდ სხვა ვინ დამეხმარება, კარგს იხამ, აქ თუ ხშირად დარჩები. წიგნი აქაც ხომ ნაგვეკითხება, ლექსების თხზვასაც არვინ დაგიშლის, შენ უკვე ბევრი მოგეთხოვება, არ დაგავიწყდეს, რომ ხარ ბადიში, აულაგებლად კვლავ გელოდება შენი საწოლი, შქართუნ-ბალოში... ჩემს თვალებს ძილი არ ეკარება, არ ვიცო, რისთვის მტანჯავს გამჩენი, მგონია, სული მიიპარება ჩემსავით კვანძის ჩემი ნაწერიც... ამადაც ვიხმობ, ცა გამბუღია, ნახე ბაბუა ლანდად ქცეულია, სენმა უწყალოდ ხელი დარია, მოასწარ, ვიდრე არ ნაქცეულია.

ნამუსის ქუდი

ერეკლე საღლიანისადმი ვისაც კი ქუდი ხურავს ნამუსის, — მამულის ტკივილს გვერდს ვერ აუვლის... ამ უბატონო სვანების მოდგმას, — კაცურკაცობა ძველთაგან მოსდგამს. პოეტს რომ ქუდი ხურავს ნამუსის, — შუქად ანთია ბედურულ მამულში.

დასანანია

პასუხად მერაბ ელიოზიშვილს „მეგრელმა მწერალმა, რაც უნდა კარგად იცოდეს ქართული, ის მაინც ვერ ცეკვავს სიტყვით“. მ. ელიოზიშვილი

მეგრულზე უკეთ მოცეკვავე ვინ დაიხანათა, — ნუთუ გგონიათ, დიდოსტატზე უფრო წინა ხართ?... გაუხარდებთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ორგულებს — რომ მიემატეთ სმეგრელოს ზოგ-ზოგ მოძულეს. მეგრელი მწერლის ქართულს ნუნობთ ბატონო მერაბ, — თქვენ მასზე უკეთ თუ შესძელით ცეკვაც და მღერაც? ჩვენ აღმაცერად გვიყურებენ დიდი ხანია, — ემმას დაკრულზე აცეკვება დასანანია...

ოდოია

სადაც ოდინდელი ციხე-გოდოლია, — სულის აღმაფრენად ისმის ოდოია... ბრუნავს დედამინა, დიდი გორგოლია — ისმის ძველკოლხური ჰანგი ოდოია. ყანის მარგვალა თუ მისი მოროდია, — ჰიმნად სიცოცხლისა, მოქუხის ოდოია... სადაც ოდინდელი ციხე-გოდოლია, — სულის უკვდავებად ისმის ოდოია.

საქართველოს უკვდავებისთვის

რადგან ქვეყანას მტერი ჰყავდა აურაცხელი, ბენვზე ეკიდა მისი ანამყო, მისი მერმისი, — თმობდა სიცოცხლეს ქეშმარიტი გმირი რამდენი, — უკვდავებისთვის, საქართველოს უკვდავებისთვის. კლდეში გამოჭრა არნახული ციხე-ქალაქი, ცას შეუშვირა უკვდავ ძეგლად ქმნილი ხერთვისი, — რომ დაეჯაბნა დრო და უამი ავი მსახვრალი, — უკვდავებისთვის, საქართველოს უკვდავებისთვის. უფალმა ბედად მოუვლინა დიდი რუსთველი, ისევ განახლდა იბერია, ვითარც ფენიქსი, ვეფხის პოემა შექმნა მკვიდრი და მომწესხველი, უკვდავებისთვის, საქართველოს უკვდავებისთვის. ჰყავდა რამდენი საარაკო მეფე დევ-გმირი, ჰყავდა დავითი — უბადლო და უბრწყინვალესი, შიშის ზარს სცემდა დუშმანს იგი ხმლით და გერგილით, — უკვდავებისთვის, საქართველოს უკვდავებისთვის. სამშობლოს ცაზე უამრავლჯერ ჩამონვა ჯანლი და ორმა კოლხმა ქვეყნის მსხნელად რომ გაიღვა, ილიას დარად ბოროტების გაგვიხდა მსხვერპლი, მაგრამ მეტრძოლი რაინდულად არ დაიღვა, — უკვდავებისთვის, საქართველოს უკვდავებისთვის. დღესაც მტერი ჰყავს ჩვენს ქვეყანას აურაცხელი, ბენვზე ჰკიდა სავაღალოდ მისი მერმისი, კვლავ ბრძოლა გემართებს, ქართველებო, მართლაც ფიცხელი, — უკვდავებისთვის, საქართველოს უკვდავებისთვის.

ჩემი ორეული

დავდივარ ხშირად სევდამორეული — დამყვება ფრთხილად ჩემი ორეული. ლანდო, მე ვიცო, შენ არ გამეცლები, ვიდრე მეც ჩრდილად აღარ დავეცემი... შენ რა გაქვს თავად, ან რას გაიმეტებ, კიდევ მაშინებ და კიდევ მაიმედებ... შენზე უერთგულესს მაინც ვის შევხვდები, — ვიცო, — ბოლო დღემდე ერთმანეთს შევრჩებით. სიცილის, კვნესის, ცრემლების თანხლებით ჩვენ გაგჩნდით ერთად და ერთადვე გავექრებით...

სამეგრელო (ძველი რეულიდან)

სამეგრელო, ხელგაშლილი სამეგობროდ, შენს გულმკერდზე ცოდვის კალო მოატარეს, წაგებილწეს წმინდა ჯვარი საამბორო, თვით ურჯულო შენში ეძებს მოლაღატეს. რა ლაჩრულად დაგიფასეს ერთგულება, — მოძმისაგან დაკოდილი გული გოდებს, სიძულვილი მაინც აღარ გეუფლება, — თუმცა შხამი მარბათივით მოგანოდეს... ისე, როგორც მტერს შეჰფერის გადამთიელს, — რად მოსთხარეს ქუჯისა და ცოტნეს კუთხე, ბალნარვით მიხდორ-ველი გადათელეს, სიხარულის ღირსი რარიგ დაგამწუნრეს. ჟამი გვიდგას უჭყური და უძნელესი, ხეს სიცოცხლის ბელზებელი აჭრის ტოტებს, ვერ მოსთხარონ შენი ძირი უძველესი, თუმცა ეგ სურს აღზევებულ სიბოროტეს. ვინც აღმართა შენზე სამტროდ სატევარი, იმ აესულთა იავნანა დაგიფეთეს, ვისაც ატკობს შენი სისხლის ნატბევი, — შინდისფერი დროშაც იმათ დაგვიფლითეს. იმ თვისტომთა თუმცა გტანჯავს უღმერთობა, — გულმონყალებ ილოცებთ: „სქან სანთელი“, — ერთსულობა დაუმკვიდრე ქართველობას, — ჭირისაგან დაიხსენი საქართველო!

შემაგინებელნი დედის

ჟამი გვიდგას შხამით საესე, ჟამი სატანური ხედვის, — ეშმამ მოგვიმრავლა ასე შემაგინებელნი დედის. გამცემელნი ქვეყნის, ერის, გვიგინებენ ღმერთქალ თამარს და მუსრს აველებს სანამტერი საქართველოს ლამაზ მთა-ბარს. მამა-პაპურს გვისპობს ადათს, ვინც ამ ძირძველ მიწას ყიდის, ყიდის მიწას ზედ რომ ადგას, — პაპის საფლავს ყიდის ფლიდი... მამულს ყიდის ხელის ჭუჭყად, წინაპართა სისხლით ნაპოხს, — მტრობს სამშობლოს, ვინც თვალს ხუჭავს, ვაი, ასეთ ქვეყნის პატრონ. ბილწისტყვეობენ თავად ბილწნი, ცოტა როდი ვაი-მწერლობს, გასარყვენლად ბევრი იღვნის, — ყელს იღერებს სასიძლეროდ... ჟამი გვიდგას შხამით საესე, ჟამი სატანური ხედვის, — ეშმამ მოგვიმრავლა ასე შემაგინებელნი დედის.

ლაქიების ტაში

შეგამფოთებს ზოგთა ქცევა, — ელდად გივლის ტანში, როს მავანი დამაქცევარს აჯილდოვებს ტაშით... ყველა მისი მეტაშეა, ვინც ზის მეფის ნავში; „აღმშენებელს“ მამულისას დაუკარით ტაში! ქეშმარიტი ქართველობა ეჩხირებათ თვალში, — საქართველოს ნგრევა-პარტახს

ვინც არ ხვდება ტაშით... გასხვისებულ აფხაზეთში მტერი დადის მარშით; სამაჩაბლოც მის ხელშია, — მაგრად დასცხეთ ტაში! სკამს აულო ბევრმა გემო, ვერ ეტევა კანში, — მიტომც მეფის კვენხა-ტყუილს ეგებება ტაშით... ზეობს ძალა, — ეროვნების ამომსერელი ლაფში, — გაიხარეთ ლაქიებო, ატყაპუნეთ ტაში! მიშვებული არის წყალი მტრის ნისქვილის ლაში, — მედროვნეო, აღტაცების აგუგუნეთ ტაში!

წრებრუნვა

დაბადებამდე ხომ არ იყავი, — ვის ოცნებაში შარშიურობდი; ცაში სახლობდი, თუ დაფრინავდი, გაინდებელი დუმობს ჰგუობდი. დაბადებამდე ქარს დაჰყვებოდი, თუ იღუმალი იყავ ზმანება, იქნებ ცვარ-ნამად ზეცას წყებობდი და მოიხვედდი დაბლა თავებ... ახლა რატომაც მინდა ვიცოდე, თუ ანგელოზის ფრთებქვეშ გეძინა, — ვინ ჩაიფიქრა შენი სიცოცხლე, წუთისოფლის რომ ბრუნვა გეხილა... შენი გაჩენით გაჩნდა წუხილი, გაჩნდა ღიმილი და მღელვარება, როს ვაგლახობენ მისი მდგმურები; მინის კვენსა და ზეცის ქუხილი, — დღეს შენთან ერთად რომ იარება... აქ შუქზე მეტად უფრო მწუნხრია, ბევრი გოდებს და ეშმა ხარხარებს; მდუმარებიდან ამ ხმაურიან ცოდვილ მიწაზე შემოგასახლეს... ზოგ-ზოგს ქვეყანა სურს ჩაიკოხნოს, თითქოს ყველაფრის იყოს მომრევი, ზოგი ამქვეყნად კაცურად ცხოვრობს, ბევრიც ტივტივებს ცოდვის მორევში... გულქვა სანუთოო მაცდურ გიხუტებს; სიტკობზე მეტად იგრძნობ სიმუხთლეს, — ვიდრე კვლავ დუმობს დაუბრუნდები.

ქეშმარიტი მესიტყვე მწერალ რევაზ მიშველაძესადმი

ბედურულ მამულში საგულისხმო ყოველ მოვლენას, — შედეგრად ქმნილი შეაგება ქვეყნის ნოველა. უკან დახევა არ სჩვევია არამც და არამც, — მართალი სიტყვა უშიშარი წინ უძღვის ფარად... ძრახავს ნიადაგ ორგულობას და ორპირობას, — მამულის ჭირი დასჩენია გულზე ჭრილობად. მადლმოსილ კალმით ფრთაშესხმული ყველა ნოველა, — მისი სულიდან საუკუნის შუქად მოელავს... და თვალმუედგამ სიმაღლეებს რომ იპყრობს კვლავაც, — ამადაც გუქებ მახვილივით შემართულ კალამს... ორგულთა თავზე მზის დარად ქექს სიტყვას თამამს, — სამშობლოს მსხვერპლად შენირული ჭაბუკის მამა.









# საქართველო უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №29,31, 32.).

## ნეტარია მისი ხსენება, ვინც მამულს შეენირა...

### საქართველო არ დაივინყებს თავისი სასიქადულო შვილების ღვანლს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 7 ივნისი



**გია აკობია** — დაიბადა 1963 წლის 1 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათში. იცავდა კანონიერ ხელისუფლებას. მისი ცხოვრების მიზანი იყო პრეზიდენტის ხელისუფლების და კანონიერების აღდგენა. ვაი, რომ რომ ვერ მოესწრო. იგი ტერორის მსხვერპლი გახდა, 1992 წ. 10 ნოემბერს მოკლეს ხუნტის ჯალათებმა.




**ნათელა დავითის ასული თორდია-ანთელავა** — დაიბადა 1931 წ. 6 ივლისს ზუგდიდის რაიონ სოფ. კორცხელში. უნივერსიტეტ დამთავრებული ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1988 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაება. 1992 წ. 6 იანვარს, როცა ტელევიზიამ მოსახლეობას აუწყა კანონიერი პრეზიდენტის და ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა, განსჭვრიტა რა ერის ბედი, ვერ გაუძლო მისმა გულმა და გარდაიცვალა. დარჩა მეუღლე და სამი შვილი.



**ლადო /ბორის/ სერგოს ძე აქუბარდია** — დაიბადა 1964 წ. 12 ივლისს. ეროვნული გვარდიის ოცეულის უფროსი იბრძოდა ოჩამჩირეში, სოხუმში. აქტიურად იბრძოდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. დაიღუპა 1993 წლის 4 ოქტომბერს ფოთში, მალთაყვასთან ხუნტის ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.



**იოსებ /სოსო/ ბაგათელია** — დაიბადა 1963 წ. 4 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფ. ერგეტაში. იბრძოდა სამაჩაბლოში, იცავდა კანონიერებას აბაშაში, ზუგდიდში, წალენჯიხაში. ბედმა უმტყუნა და საკუთარი ტყვეით დაიღუპა 1992 წლის 12 ნოემბერს. დარჩა მეუღლე და შვილები.




**რომან შოთას ძე ბენდელიანი** — დაიბადა 1970 წლის 11 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხაშკარში. 1990 წლიდან იბრძოდა სამაჩაბლოში. მისი გმირობის ამბავი საარაკოდ რჩებათ თანამებრძოლებსა და მეგობრებს. დაიღუპა 1991 წლის 27 მარტს ცხინვალთან, ოს ექსტრემისტებთან მორიგი შეტაკების დროს. 21 წლის ჭაბუკმა ველარ მოასწრო ოჯახის შექმნა.




**მამუკა ცხადაია** — დაიბადა 1958 წლის 23 მარტს ზუგდიდში. გაიზარდა ქართული ტრადიციების მატარებელ ოჯახში. ერის, მამულის, თვისტომის სიყვარულით მოღვაწეობდა არქიტექტურაში, მხატვრობაში. 1992 წლის 2 იანვარს, ხუნტის ტყვიამ გაუჩერა გული. „შეინირე გული ჩემი საყვარელო, რამეთუ სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება“ — ეს მისი ჩანაწერების ბოლო სტრიქონებია.




**ბესიკ ორდენის ძე ჭითანავა** — დაიბადა 1965 წლის 13 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდში. სკოლა მედალზე დაამთავრა, პროფესიით — ინჟინერი იყო. ეროვნულ მოძრაობაში 1989 წ. ჩაება. ებრძოდა გამეფებულ უსამართლობას. ტრაგიკულად დაიღუპა საკომენდატო საათის დროს ზუგდიდში. დარჩა მეუღლე და შვილები.



**დემურ ნიკოლოზის ძე ბულია** — დაიბადა 1954 წელს ზუგდიდის რაიონის სოფ. კორცხელში. მუშაობდა კოლმეურნეობაში. გულანთებული პატრიოტი ვერ ეგუებოდა უკანონობას, უსამართლობას და ებრძოდა მათ. დაიღუპა ოჩამჩირის სოფელ ტამიშთან 1993 წლის 24 სექტემბერს, აფსუა სეპარატისტებთან ბრძოლაში.



**ფრიდონ შალვას ძე ბუკია** — დაიბადა 1961 წელს ქალაქ ზუგდიდში. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1989 წლის 9 აპრილიდან ეროვნულ მოძრაობაშია ჩაბმული. იყო ეროვნული გვარდიის წევრი. სამშობლოს წინაშე დადებული ფიცის ერთგული დაიღუპა 1992 წლის აპრილში ხუნტის ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში.



**ედემ მოგელის ძე დაგარგულია** — დაიბადა 1960 წლის 2 სექტემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშში. 1992 წლის 21 მაისს ხუნტის ჯალათების მიერ საკუთარ ეზოში იქნა მოკლული.

სრულიად საქართველოს მოძრაობა „ხსოვნა“ (თავმჯდომარე მადონა მაქაცარია), საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი „ოდიში“ (თავმჯდომარე გიგლა ჭედია). რედაქცია მადლობას უხდის მათ მასალების მოწოდებისათვის.

(გაგრძელება იქნება)

# სიცოცხლე მინდა სულით ჟღერადი

ედემ ღვინჯილია მშობლიურ ლაკადაზე, წალენჯიხაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ალალი გულის პოეტია. იგი საკუთარ ლექსებში უმღერის საფიცარ სამშობლოს, სიყვარულს, მეგობრობას, ჭირსა და ლხინში ურთიერთგატანას...

რაიონში ჩატარებული ყველა კულტურული ღონისძიების მონაწილეა. ჰქონდა შემოქმედებითი საღამოები თბილისსა და წალენჯიხაში. მისი ლექსები ქვეყნდება ქართული პრესის ფურცლებზე. გაზეთ „ნოვინურში“ იბეჭდება პირველად.



ღმერთო, გამიზარდე...

ბატონი ედემი ტყუპ ძმებთან — ნიკოლოზ და გიორგი გულუბთან ერთად.

\* \* \*

ციდან მოგესმა ხმა და ძახილი, სულს მოევიღინა ციდა სამხილი, არის სიცოცხლის თვით პოემა, მუზის ნაწრთობი ფიქრი ნამდვილი. წალენჯიხა სიცოცხლის კერა, და შენ შევილი ხარ, მისი აღზრდილი; შენ სხვა სამყარო არ გიძებნია, არსებობ შენი ლექსით — გზა ხსნილით... შენი მუზაა სიცოცხლის პოემა, ღამე... დროება ნექტრით ავსილი, — ვერ იარსებებ მუზის გარეშე, სული შენა გაქვს რითმით აცრილი; სითბოდ ნაგროვი წლები მიქრიან, კალმის სიცოცხლით შენთან გაზრდილი...

\* \* \*

რაც რომ ჩემშია, თერთ ლექსია, გამჯდარი სულში, ვითარც ფესვია; არ მინდა შავი, არცრა ფერადი, სიცოცხლე მინდა სულით ჟღერადი. დე, მუდამ იყო ჩემში, იცოცხლე, მარტო არა ხარ, მინდა იცოდე, მწამს, მე სიცოცხლის დიდი უფალი, ჩემი ლექსია სულის მკურნალი. რისთვის გეძებო, შენ ჩემში სახლობ, მე შენს სიყვარულს ლექსებით ვამკობ, სულს კი უძილარს შენი სიცოცხლით მე სიყვარულით ველი და ვნატრობ. როს თერთი ფიქრით ზეცა მუქდება, სამყაროს ხილვა ლექსით მოუქდება. დავეხეტები სადღაც სიმორეს, მიუსაფარი, მძიმედ დაღლილი, ლექსში ვპოულობ ფიქრთა დინებას, სულს ვეველინები შევბა-განცდილით...

### მე მინდა შევეგებო...

სიცოცხლეს, სითბოს, სიტკბოს, სიხარულს, სიყვარულს, განცდას, წუთს და წამს, საათს, დროებას, ფხიზელ გონებას, დაჩაგრულ გულს, მომდიმარ სულს, პატარა პირმშოს, დილის ცვარს, აფრენილ ჩიტს, გარინდულ მთას, პირველ სხივს, მდუმარე მთვარეს, უფლის განგებას, ბრწყინვალე მსაჯულს, დაღვრემილს, დასჯილს, უსიტყვო კოცნას, უსანთლო ლოცვას, ბუბუნა ზარს, უკვდავ ჯვარს, ჩემს წალენჯიხას, მამის ხმას, დედის ნანას, ჭანისწყალს, დაუმშრალ წყაროს, წინაპართ ბორცვებს, ნეტარ ნორჩებს, დიად მგოსნებს, ლექსის მკოცნებს, კოცონს, სიბნელეს, დახმულ ექოს, ჯიშს და მოდგმას, უპატრონო სახლის ჩაუქვრალ კერას, შემას ნედლს, სიკვდილს, სიმხნევს,

სიცოცხლე ძნელს...

ტერენტს... ვლოცულობ მარადისობით...

\* \* \*

პოეტისთვის შექმნა ღმერთმა: მთვარე, ღამე, სანაპირო... ვპოვე სულის მე სამოთხე — ფიქრთ მუზასთან სანადირო, რად შევჩერდე, სხივთ ნაფრქვევი, ლექსი მოდის სანადირო, სული ვიგრძენ ვაზეიმო, გავჩნდი წუთით ამ სოფელში, წუთისოფლის საზეიმოდ...

### ღუელი

ყოველი ღამე მე მას ველოდი და დილით შევხვდი ეშამს ღუელში. მესროლა ტყვია, გამომასალმა, მოვკვდი პოეტი იის სურნელში. ცრემლით ნაიღეს იებმა ნემში, მინას არ ჰკადრეს, დასწვეს ღუმელში, მიმოაბნიეს ნარჩენი ფერფლი, შორს, ძალიან შორს — მაღლა ღრუბლებში. ყვავილნი ცრემლით გამომეთხოვენ, მამცნეს გალობით ღვთისადმი რწმენა, უფლის განგებით გადარჩენილმა ლექსებმა ინყეს ზეციდან ცვენა...

### ანდერძი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება

ღმერთო, ამისენ სიკეთით ვღებულობ შენგან მაღლსაო, — კაცთ სიყვარულით მაცოცხლე, ნუ გამაყოლებ დარდსაო; ცხოვრება მიმზერს დუხჭირი, ვერ შევიხნაბავ ქალსაო, მარტო ნისქეილის ამარა ველარ ვინაზავ თავსაო; ვატყობ, ტყუილად ვაბრუნებ დოლაბის მძიმე ქვასაო, მშვიერი, სახლ-კარს ვუტოვებ ჩემს მეპატრონე ძალსაო.

\* \* \*

ყვავილები თავს მიკრავენ, რადგან გაჩნდი შენთვის მთაში, ტროფობის ღამემ მე დამნაძა, განვიბანე დილის ცვარში. ტკბილი ძილი შემეგება, ნაკოცნარი დილის ნამში, ნამიერად მე აღმოვჩნდი, ოცნებათა ნეტარ ბაღში. სული ვნებამ გაიტაცა, მარადიულ ცრემლთა ტბაში...

\* \* \*

უშენობით არ ვარსებობ, გული სევდით მევესება, სანატრული ღამის ლექსში

რითმა მელის შევსებად, ჩემი ჯილდო უფლისაა, რაც გონებით მეხსნება, ქვეყნად არის სიყვარული, მომეც სულო, ეს მცნებად!..

\* \* \*

შუალამით ხეტიალში მე წავაწყდი დამას, არ ვფიქრობდი მარტოობა მომიწყობდა დრამას... შევეკითხე სილამაზეს: შენ რა გქვია ლედი? დამა გახლდათ თეთრყინობა, როგორც თეთრი გედი. ღამით მთვარე გვიცინოდა, დილით ვკოცნეთ ხედი, შორიდან კი ჩუმი ლოცვით გვიღიმოდა მთები... მაღლა ზეცას დაფრინავდა, მოლულუნე მტრედი, ჩემს ბაღნარში გვერდით მედგა ჩემი ტკბილი ლედი, ღმერთის იყო რა განგება, — იყო ჩემი ბედი...

\* \* \*

დილიდანვე როცა გესმის ბარში ჩიტის გალობა, გამაღობ ღმერთო, პოეტისთვის გაიმეტე წყალობა! ნეტა ვიყო მე ის ჩიტი, ნალკოტ ბაღში ნაშობი, ყვავილები ავამღერო მომავლისთვის — აწმყოთი. შაში არ ვარ, ვჭახჭახებდე, არც ბუღბული, ვგალობდე... დედამ მიტომ გამაჩინა ღმერთი ლექსით მწყალობდეს, და ერთი რამ შთამაგონა, — სიკეთისთვის ვწავლობდე; ერისათვის სიყვარულით პოეტურად ვგალობდე...

### გრანელს

ჩამოიღვინთა ღამის სიბნელე, ნისლმა დაკოცნა საყდრის გუმბათი, სასაფლაოდან აჩრდილი მოდის, და გზას მინათებს სანთლით სულმნათი... ვატყობ, თვალთაგან ცრემლები მოსდის, სახეს იგრძობს ღრუბლის ქულათი, წალენჯიხაზე ფიქრს შეუპყრია და ლექსს მიყვება ტერენტ-სულმნათი... ციდან დაეშვა სხივის ნახსლეტი, იდუმალეზავ, პოეტს დასდევდი, — დატოვა ლექსი, ზეცას შეერწყა, სულს კი ზეციდან ველარ განდევნი. ზეცის ჩურჩული შენით გავიგე, იყავ ფიქრთ მორეც შიგ ჩავარდნილი; მე გვიან მივხვდი, ჩემს წალენჯიხას რომ მოველინე ლექსთა აჩრდილით!.. არ შემოძლია გავეყვ ნაკვალევს, ლექსით მინათებს დიდ გზას სულმნათი... მამცნობს სიცოცხლის უსასრულობას, ლექსით მოგხატო ზეცის გუმბათი!

\* \* \*

არ ვფიქრობდი, ცხოვრებისგან მექნებოდა ვალი... მე და ძალი — პახულისა არ გყავს ქვეყნად ქალი, შიმშილისგან ისე გავხდით, დაგვიბნელდა თვალი, და ერთმანეთს არ ვშორდებით მშვიერი და მთვრალი, „პახმელიას“ ვერ გავდივართ, რაღა ვჭამოთ, — მსხალი?! ერთი რამე მოვიგონეთ — ხილის ჩირი, მშრალი... ორივენი რომ გადავრჩეთ, მტერს დავევსოთ თვალი.

\* \* \*

სადღაც გალობს ბუღბული, შორით კენების ფლეიტა, ღმერთო ჩემო, იცოდე ჩიტს დავიცავ დღეიდან. ახლოს მესმის ჰანგები, გალობს ნაზი ბუღბული, ღმერთო, შენის განგებით ვხარობ, რომ ვარ სულდგმული... ისმის უცხო ჰანგები, ტყის შრიალში ნაგები; ჩიტო, ჩემო ჩიტუნი, შენც ჰანგებში გავები. შენს დაუკარ ფლეიტავ, ტყის სამეფოს გავედი, მონყენილი იერით სადღაც შორეთს ნავედი...



## ილიას სიბრძნე

ამა სოფლისა ცხოვრება განყოფით არ იპოვება.

\* \* \*

არავითარი სიმდიდრე დაუსრულებელი არ არის.

\* \* \*

ახლად ფეხადგმულს ვერ მოვთხოვთ ნაბაღზე გადახტომას.

\* \* \*

ასი სიკვდილი ვერ მოჰკლავს ერთ სიყვარულსა.

\* \* \*

გებრალბოდეს, ნუ ჰრისხავ კაცს შენზედ შურით მწდომსაო, კეთილი ფარად უფარე შენთვის ბოროტის მდომსაო, მადლისა წყაროს ასმევდე ცოდვის გუბეში მდგომსაო.

\* \* \*

ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა.

\* \* \*

გულის სიბღო სიტურფეა, თუ კაცია სხვაფრივ ღომი.

\* \* \*

გაუნვრთნელი ზნე ყავარჯენი კი არა, ჭირია.

\* \* \*

დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო.

\* \* \*

დედა-შვილური სიყვარული მძლეთამძლეა.

\* \* \*

დევის დევის ძუძუ გამოზრდის.

\* \* \*

და მარტო გული, ერთხელ მოკლული, არც აყვავდება, არც გაცოცხლდება.


## სინანული

ვიცით განა, ამ ტაძარში ვისი ძვლებიც მარხია! ეჰ, მამულო, რა ჭირიც გეჭირს, იქნებ ჩვენზე ახია?! დროშა იგი — სადავითნე ვინ დაფლითა, დახია? ხომ ჩავნიხლეთ სიყვარული, — რაც გეჭირს, ღმერთო, ახია! მოუკიდე თაფლის სანთლებს, ეს ხომ უფლის სახლია! ხომ გავთელეთ ანგელოსი, რაც მოგვივა, ახია. ეშმას ქილიკს ვეგუებით, ზურგში ტყვიას გვახლიან, თვით მივედით უფსკრულამდე, ჩავშავდით და... ახია! რომ გაფითრებს, ღვთისმშობელო, საქართველოს თალხია?! ... თუ ტაძარში ვერ ვილოცეთ, რაც მოგვივა, ახია!

ლამზირა ფირცხალავა

ჩვენი შესანიშნავი წარსული

კაბადოკია



დოკია მოიცავდა ტერიტორიას დასავლეთით მდინარე ჰალისამდე, ჩრდილოეთით შავი ზღვის სანაპიროებამდე, სამხრეთით ტვიროსის მთებამდე და იყოფოდა 2 სატრაპიად (სატრაპია სპარსულად ოლქს ნიშნავდა): „დიდი კაბადოკიად“, რომელსაც ეკავა შიგა რაიონები და „მცირე კაბადოკიად“, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ზოლს, ანუ პონტოს მოიცავდა. ანტიკური წერილობითი წყაროების მიხედვით, კაბადოკიას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა არმენია, დასავლეთით ფრიგია სამხრეთით კილიკია, მის ჩრდილოეთით კი ქართველური ტომები მოსხები, ტიბარენები და სხვანი მოსახლეობდნენ.

კაბადოკია ძველ ზენდურ ენაზე ლამაზ ცხენთა ქვეყანას ნიშნავს. იგი მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი ოლქია, რომლის საზღვრებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა მიხედვით იცვლებოდა.

უძველეს ხანაში, დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულში, კაბადოკია დასახლებული იყო ტომებით, რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში ხათებს ანუ პროტოხათებს უწოდებენ, ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისში კაბადოკიაში გამოჩნდნენ ინდოევროპული ტომები, რა-

საც „კაბადოკური ფირფიტების“ მონაცემებიც ადასტურებს.

ძვ. წელთაღრიცხვის XVII საუკუნიდან, როდესაც ხათებისა და ინდოევროპული ნესიტების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ხეთური ენოსი, კაბადოკია იყო ხეთების სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორია. აქ მდებარეობდა ხეთების დედაქალაქი ხათუსა.

ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის დასაწყისში კაბადოკიის სამხრეთი ნაწილი თაბალის (თუბალის) ტომთა გაერთიანებაში შედიოდა. ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნის დასაწყისში იგი დაიპყრო მიდიამ, ამავე საუკუნის II ნახევრიდან გახდა აქემენიდების სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი. ხოლო ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან კაბადოკია უკვე სელევკიდებს ემორჩილებოდა.

ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნიდან კაბადოკია რომის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. კაბადოკია ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნეშიც რომის პროვინციად იწოდებოდა. ამ დროს მის დედაქალაქს მახაკა უწოდებდნენ. კესარეა (ახლანდელი კაისერია). შემდგომში კაბადოკია, მთლიანდ პონტოსთან ერთად ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1074 წელს იგი თურქ-სელჩუკებმა დაპყრეს, ხოლო XV საუკუნიდან ეს მხრე თურქ-ოსმალების შემადგენელ ნაწილად გადაიქცა.

კაბადოკიის ბოლო მეფედ მოიხსენიება არქელაოსი, რომელიც იმპერატორმა ტიბერიუსმა რომში მიიწვია და ლალატი დააპატიმრა. მისი სამეფო კი რომის იმპერიის შემადგენლობაში მოაქცია.

კაბადოკიის მცხოვრებნი სხვა ქვეყნის შვილებთან ერთად სულთმოფენობის დღეს იერუსალიმში იმყოფებოდნენ და მათ თავის წერილებში ნიშნავდა მოციქული პეტრეც მოიხსენიებს (I პეტრ. I, 1). კაბადოკიის ზოგიერთი ქალაქი განსაკუთრებით მოიხსენიება საეკლესიო ისტორიაში, მაგალითად კესარია — ნიშია ბასილი დიდის ქალაქი; ნასა, ნაზიანზი და ნეოკესარია.

მომავლად ვ. ძაძამია

კაბადოკია

კაბადოკია...  
 კაბადოკია...  
 ქართველ გვარ-ტომთა ძველსაცხოვრისი...  
 მღელვარება ვერ დამოკია —  
 აქ გვკრავდა ფიცი ძმებთაშორისი.  
 აჭარის ზეგანს მთები მაგონებს,  
 შიომღვიმის კლდეს — ხშირი ქვაბები,  
 ჩვენებურთ ხმა კი ვერ გამაგონეს —  
 მეგრულ-ჭანების მხედართ ამბების...  
 მებრძოლ წინაპრის რად ჩამრჩა სევდა,  
 სად გაქრა ტუბალთ ლეგიონები?!  
 მსახვრალი ბედი მუდამ რად მსდევდა —  
 ერთხელაც მიწა ჩაგვწვედ გონებით.  
 . . . . .  
 კაბადოკია...  
 კაბადოკია...  
 ქართველ გვარ-ტომთა მხნე  
 საცხოვრისი!

თამაზ ფიფია

ნორჩ შემოქმედთა სივრცეები

„... შენით არსებობს ეს სილამაზე!..“



სტიქაროსანი გიგა გულუა

... ჩემი პირველი ლექსი, რომელიც მივუძღვენი ჩემს საყვარელ დედას, 8 წლის ასაკში დავეწერე. როცა ჩემს მოკრძალებულ ლექსებს წაიკითხავთ, იმედია ძალიანაც არ განმსჯით და ჩემს ლექსებში გაიგებთ იმას, რაც მინდა მოვიტანო თქვენამდე.

ავტორი  
 „პოეტი მაინც ზეცის მგზავრია და ღვთის ენაზე მოლაპარაკე“  
 ლაშა გახარია

აყვავილდა მინდორ-ველი,  
 ვარდი ნაზად იფურქვება,  
 მოეფინა მთელ ქვეყანას,  
 გაზაფხულის ჟრიალი.

**საქართველოს**  
 გიძღვნი ამ ლექსს და შიგ  
 ვდებ სიყვარულს,  
 რომელიც ღმერთმა შენთვის მარგუნა! —  
 შენ ხარ მაღალი სადიდებელი,  
 ჩემო სამშობლო, ერის დიდებავ!  
 შენს სამსახურში მიგულვე მუდამ, —  
 მზად ვარ სიცოცხლე შენ შემოგწირო;  
 ღმერთს კი ვუმაღლი შენს არსებობას  
 და იმედი მაქვს სამარადისოდ!..

**დედას**  
 გაზაფხულივით გაზარებულ  
 და ამრასავით გაბრწყინებულ,  
 მანათობლო, დაუჭკნობლო  
 და ყვავილივით ულამაზესო.  
 შენ ხარ სიცოცხლე მუდმივ სულისა,  
 და უკვდავების ნამდვილი წყარო,  
 დაუზარებლად გეტყვი ათასჯერ:  
 ულამაზესო, უსაყვარლესო!..  
 შენი სიყვარული მე ბევრი მახსოვს  
 და ის ამაგი, ჩემთვის რომ გაეც...  
 შენს სიყვარულში ვათენებ ღამეს  
 და მომავლ დღეს შევეგებები!  
 მე უკვე შლეგმა, შენს სიყვარულში,  
 არ ვიცი როგორ გელოლიავო;  
 როცა გიყურებ წვიმა მასველებს,  
 როცა გეხვევი თოვლი მათეთრებს,  
 მე სიყვარული შენი მაცოცხლებს,  
 და უკვდავი ვარ ამ სიყვარულით...

**გოუმორძგვას საქორთუოს!**  
 გოუმორძგვას თე ქიანას,  
 მუში სკვამუ მხარეთგ,  
 თე ქიანაში ჯგირობუას  
 მუზმაქ გიოლურუ...  
 ანა რკიანს ანარკიას,  
 გაგმუჩეს სკუა, —  
 მულოლუას, მუქიმიანს,  
 გური მუს გინართუას...

**ლაშა გახარიას**  
 მუხურიში მოცოროფე  
 მუშმაჯგირა კოჩიში სკუა,  
 მუშმაჯგირა გინმაჩამალე  
 მუხურიში გურის ჭუაში.  
 მუჭო უყორდ მუშ სკვამ კუნთხუ,  
 მუხურს მუჭო ოცქვანდუ,  
 თიში ლახარა დო წამალი  
 მუხურიში დიხა რდუ!..  
 ლაშაში ლერსეფს ამდლა ხოლო  
 კითხულენა გერნელო...  
 თე პოეტი სასახელო  
 ჩქი მიყორა მანგარო!

**დედას**  
 შენ მე აღმზარდე...  
 ჩემთვის იმრომე, ჩემთვის ინვალე...  
 არაფერი დაგიკლია, —  
 ჩემთვის რა არ გააკეთე!..  
 შენ ამქვეყნად მომავლინე  
 და სიცოცხლე მაჩუქე...  
 თავი ისე შემაყვარე,  
 ვერასოდეს დაგივიწყებ!..

**უფალს**  
 შენ გავგაჩინე ყველა ამქვეყნად,  
 შენ ამოანთე ჩვენში სიცოცხლე,  
 შენით არსებობს ეს სილამაზე,  
 შენ ყველასათვის თავი გასწიე...  
 შენ ყველა გიყვარს ამქვეყნად,  
 დიდს და პატარას არ არჩევ...  
 შენ ღმერთი გქვია სახელად,  
 ზეციდან ლოცვას არ გვაკლებ!..

**გაზაფხული**  
 გაზაფხული შემობრძანდა,  
 გაუბრწყინდა მზეს თვალები,  
 მიწას ია ამოსულა,  
 ამბობს მოვედი წვალებით...

„ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთად“



ქალბატონი მირანდა (მათიკო) ფალავანდიშვილი ზვიადთან ერთად.

